ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1574827

ნომერი: AR1259755

თარიღი : 21.10.2014

გაცემის თარიღი : 05.11.2014

გაცნობის თარიღი : 06.11.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვის დასაწყისში, , ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ, (ნაკვ. 5/11) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სოსო აბჟანდაძე პ/ნ 01024049189
- თბილისი

ორგანიზაცია:
- შპს აბსო კოდი: 211361300

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამსახურს თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოების განხორციელება შესაძლებლად მიაჩნია, თუმცა შესაბამისი წერილობითი თანხმობის მისაღებად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი : ვინაიდან საპროექტო გზა ეწყობა ძირითადი გზიდან , თვითმართველი ერთეულის ტერერიტორიაზე, საფეხმავლო სავალი გზის გამოყენებით წარმოსადგენი გექნებათ მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა გზის მოწყობასთან დაკავშირებით რაც უნდა აიტვირთოს "ფაილის მიმაგრების" ველში (აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია სამსახურის მიერ უკვე გეცნობათ №1560139 და №1572180 გადაწყვეტილებით).

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.